ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2818204

ნომერი: AR1433800

თარიღი : 21.08.2016

გაცემის თარიღი : 09.09.2016

გაცნობის თარიღი : 09.09.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ვარაზის ხევში ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ვანო გარსევანიშვილი პ/ნ 01017043536
- თბილისი ალ.ყაზბეგის გამზ. N 24 ბ. 8

ორგანიზაცია:
- ვარაზის ხევი 95 კოდი: 204900358

ნომენკლატურა :

- რესტორანი
- II კლასი
- დემონტაჟი
- მშენებლობის ნებართვა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს ვარაზის ხევი 95
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 204900358
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ვანო გარსევანიშვილი
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01017043536

.სადემონტაჟო ობიექტის ტექნიკურ ეკონომიკური მაჩვენებლები.:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 1210.0
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 59.9
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 359.4
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 299.5
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 59.9
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 6.0
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 5.0
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 1.0

ქ. თბილისის მერიის სსიპ ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 20 ივნისის №2657238 ბრძანებაში მშენებლობის დასრულების თარიღში ცვლილების შეტანის შესახებ.

2016 წლის 21 აგვისტოს N AR1433800 განცხადებით სამსახურს მომართა მოქ. ვანო გარსევანიშვილმა რომელიც ითხოვს მშენებლობის ნებართვის ვადის გაგრძელების მიზნით, 2016 წლის 20 ივნისის №2657238 ბრძანებაში მშენებლობის დასრულების თარიღში ცვლილების განხორციელებას.

სამსახურმა განცხადების განხილვის შედეგად გადაწყვიტა, რომ მოთხოვნა საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს.

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 20 ივნისის №2657238 ბრძანებასა და მშენებლობის სანებართვო მოწმობაში კერძოდ, "დემონტაჟის ვადა განისაზღვროს 2016 წლის 23 ივნისიდან 2016 წლის 23 აგვისტოს ჩათვლით" შეიცვალოს ,,დემონტაჟის ვადა განისაზღვროს 2016 წლის 23 ივნისიდან 2016 წლის 23 ოქტომბრის ჩათვლით'';
2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 20 ივნისის №2657238 ბრძანებასა და მშენებლობის სანებართვო მოწმობასთან

- აღნიშნულის შესახებ დადგენილი წესით ეცნობოს დაინტერესებულ მხარეებს და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.